

აზერბაიჯანელ გოგონებში ფორმალური განათლების მიღების
გადაწყვეტილებაზე სოციო-კულტურული ფაქტორების ზეგავლენა

ჯამილა ისმაილოვა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი : სოფო ზვიადაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ჯამილა ისმაილოვა

02.07.2019 წელი”

აბსტრაქტი

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს განათლების სისტემაში გატარებული მრავალი რეფორმის მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობების განათლების საკითხი მაინც ქვეყნის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს. ამ პრობლემას განიცდის ქვეყნის რაოდენობით მეორე ეთნიკური ჯგუფი - აზერბაიჯანელები. აღნიშნულ თემში არსებული კულტურული ნორმებიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე აზერბაიჯანელი ახალგაზრდა ქალები ნაკლებად აგრძელებენ სწავლას. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, მათი გამოცდილებებისა და აღქმების მიხედვით, რა ასპექტები მოქმედებენ მათ განათლებასთან დაკავშირებული მისწრაფებებისა და გადაწყვეტილებების ჩამოყალიბებაზე.

კვლევის მიზანია ქვემო ქართლის ქალაქ გარდაბანში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების, კერძოდ 16-25 წლის ეთნიკური აზერბაიჯანელი გოგონების პირადი გამოცდილებებიდან გამომდინარე განათლების მიღების გადაწყვეტილებაზე სოციო-კულტურული ფაქტორების ზეგავლენის დადგენა და შესწავლა.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდოლოგიის ფენომენოლოგიური დიზაინით სხვადასხვა თეორიისა (კარმელ კამილერი, ჰანა მალევსკა-პიერი, პიერ ბურდიე) და კვლევის გამოყენებით.

კვლევამ აზერბაიჯანელი გოგონების გამოცდილებებისა და აღქმების შესწავლის საფუძველზე გამოავლინა, რომ მათ გადაწყვეტილებაზე გაეგრძელებინათ თუ არა სწავლა გავლენა იქონია სხვადასხვა სოციო-კულტურულმა ფაქტორმა, როგორცაა მშობელთა და ოჯახის სხვა წევრთა განათლების დონე და სწავლისადმი დამოკიდებულება, სკოლის მასწავლებელთა წახალისება, თანატოლთა სწავლასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, თავისუფლების მოპოვების სურვილი და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობები, საქართველოს აზერბაიჯანელები, აზერბაიჯანელი გოგონები, გენდერული როლები, განათლება, ფენომენოლოგია, გამოცდილებები, აღქმები, კულტურული კაპიტალი, პირველადი სოციალიზაცია, გენდერის სოციალიზაცია, კულტურული სოციალიზაცია, ეთნიკური სოციალიზაცია, იდენტობა.

Abstract

Despite the fact that many reforms were implemented in the education system of Georgia in recent years, the issue of ethnic minority education is still one of the most important problems of the country. The second ethnic group of the country – Azerbaijanis - face the same problem. Azeri young women are less likely to continue studying due to the cultural norms of the given community and various other factors. Therefore, it is interesting to know what aspects affect their aspirations to continue studying and their decision regarding getting the higher education.

The objective of the study is to identify and study socio-cultural factors which affect the decision of getting an education based on personal experiences of the ethnic minorities living in Gardabani town of Kvemo Kartli, in particular 16-25 years old ethnic Azeri girls.

The research was conducted with the phenomenological design of the qualitative methodology using various theories (Carmel Camilleri, Hannah Mawleska-Pierre, Pierre Bourdieu) and researches.

The study on experiences and perceptions of Azerbaijani girls revealed the impact of various socio-cultural factors on the decision whether to continue studying, including parental and other family members' level of education and attitude towards education, encouragement from school teachers and decision of peers related to getting an education, a desire to gain more freedom and so on.

Keywords: ethnic minorities, Azeris of Georgia, Azeri adolescent girls, gender roles, education, phenomenology, experiences, perceptions, cultural capital, primary socialization, gender socialization, cultural socialization, ethnic socialization, identity.

მადლობა

ულრმეს მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს ქალბატონ სოფო ზვიადაძეს კვლევისთვის მნიშვნელოვანი რჩევების, მითითებების, მოწოდებული მასალისა და ყურადღებისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ფერიდე მირზოევასა და მირზა მირზოევს, რომელთა გარეშეც რესპონდენტების მოძიება და მათთან დაკავშირება წარმოუდგენელი იქნებოდა.

ასევე მადლობა თითოეულ რესპონდენტს კვლევაში მონაწილეობასა და სხვა რესპონდენტების მოძიებაში გაწეული დახმარებისათვის და თითოეულ ადამიანს, რომელიც კვლევის დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში დამეხმარა ან მხარში მედგა.